შ.პ.ს “კად სტილი”

ქ.თბილისში,
გრიშაშვილის ქუჩა №3
ნაკვეთის № 01.18.04.019.030 არსებული შენობის
რეკონსტრუქციის ორგანიზაციის
პროექტი



შეასრულა ი.გამყრელიძე

თბილისი2021წ

სარჩევი

აღნიშვნა	დასახელება	გვერდი/ ფურცელი
1	2	3
მოპ	რეკონსტრუქცია ორგანიზაციის პროექტი	
	სარჩევი	მოპ-2
	1.სამშენებლო მოედნისა და ობიექტის დახასიათება	მოპ-3
	2. სარეკონსტრუქციო სადემონტაჟო შენობის დახასიათება და ნგრევის პირობები	მოპ-4
	3. ღონისძიებების ჩამონათვალი, რომელიც საჭიროა სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების საშიშ ზონებსა და შენობების შიგნით ადამიანებისა და ცხოველების მოხვედრისგან დასაცავად, აგრეთვე მწვანე ნარგავების დასაცავად	მოპ-6
	4. ნანგრევებისა და საშიში ზონების ზომების გაანგარიშება და დასაბუთება, რომელიც დამოკიდებულია დემონტაჟის მეთოდზე	მოპ-7
	5. რეკონსტრუქცია დემონტაჟის ხანგრძლივობის ანგარიში	მოპ-7
	6. მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების ჩამონათვალი, მათ შორის მოსახლეობის დროული შეტყობინება და ევაკუაცია (საჭიროების შემთხვევაში)	მოპ-8
	7. ნაგვის გატანისა და უტილიზაციის გადაწყვეტის აღწერა	მოპ-8
	8. რეკომენდებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები.	მოპ-8
	9. რეკონსტრუქცია დემონტაჟის საინჟინრო მომზადება და მისი წარმართვის ცალკეული ეტაპები	მოპ-9
	10. მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა	მოპ-11
	11. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები	მოპ-12
	12. რეკონსტრუქცია დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის შედგენის ნორმატიული ბაზა	მოპ-12
	სამშენებლო გენგეგმა, სიტუაციური გეგმა	მპ-2
	რეკონსტრუქციის განხორციელების კალენდარული გრაფიკი	მპ-3
	დანართი: • ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; • საკადასტრო გეგმა; • არსებული შენობები /ფოტომასალა/	

1. სამშენებლო მოედნისა და ობიექტის დახასიათება

1.1. სამშენებლო მოედანი მდებარეობს ქ.თბილისში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა №3-ში, ტერიტორიის ფართია 1264მ^2, ზონა - 01, სექტორი - 18, კვარტალი - 04, ნაკვეთი–019/030. ძირითადი შენობა გეგმაში მრავალწახნაგის კონფიგურაციისაა. ტერიტორიას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება იოსებ გრიშაშვილის ქუჩა. დასავლეთიდან ერეკლე მეფის აბანო (ს/კ 01.18.04.019.013) და სამხრეთიდან მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.18.04.019.005).

1.2. წარმოდგენილი სარეკონსტრუქციო დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტით გათვალისწინებულია 1 სართულიანი შენობის (იხ.გენგეგმა) სრული დემონტაჟი და მიმდებარე აგურის დაზიანებული და გამოქარული კედლის რეკონსრტუქცია რეაბილიტაცია.

1.3. ნაგებობის დემონტაჟის წინ აუცილებელია არსებული ქსელების (არსებობის შემთხვევაში) ჩაჭრა, საექსპლუატაციო ორგანიზაციების მეთვალყურეობის ქვეშ დადგენილი ნორმატიული და კანონმდებლობითი პირობების გათვალისწინებით.

1.4. ტერიტორია შემოიღობოს დროებითი ღობით, შესასვლელი გათვალისწინებულია გრიშაშვილის ქუჩის მხრიდან, გასვლაც მოხდება ასევე გრიშაშვილის ქუჩის მხრიდან. ასევე დემონტაჟის პერიოდში განთავსდეს შესაბამისი გამაფრთხილებელი ბანერები უსაფრთხოების წესებზე და დემონტაჟის წარმოებაზე ელეფტერ ანდრონიკაშვილის ქუჩის მხრიდან. გამოყენებული იქნას არსებული ინფრასტრუქტურა. ასევე დაცული უნდა იყოს ღონისძიებები მტვრის გაბნევისაგან, ამიტომ დაშლის ადგილები სასურველია დაინამოს.

2. სარეკონსტრუქციო სადემონტაჟო შენობის დახასიათება და ნგრევის პირობები

2.1. სარეკონსტრუქციო სადემონტაჟო ცალკე მდგომი შენობა გეგმაში მართკუთხა კონფიგურაციისაა. (იხილეთ გენგეგმა) დასანგრევი შენობა ავარიულობის კატეგორიის მიხედვით წარმოადგენს შენობათა კატეგორიის IV ჯგუფს:

- შენობა არ არის კაპიტალური ნაგებობა;
- არ გააჩნია საძირკველი;
- კედლები ნაშენია ნახევარი აგურით;
- გადახურვა მოწყობილია რკინაბეტონის მონოლითური ფილით, რომელიც ეყრდნობა ორ 10-იან ორტესებრს და ნახევარი აგურის უსარტყელო, დეფორმირებულ კედლებს.

2.3. ტექნიკური დასკვნის მიხედვით დაფიქსირებულია შემდეგი სახის დეფორმაციები და დაზიანებები:

- შენობა ძლიერ დეფორმირებულია.
- ორტესებრი კოჭები კოროზირებულია და დეფორმირებულია;
- აღნიშნული შენობის არსებულ პირობებში შემდგომი ექსპლუატაცია აშკარა და პირდაპირ საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და საკუთრებას.

2.4. ტექნიკური დასკვნის თანახმად შენობის ფიზიკური ცვეთის კოეფიციენტი ტოლია: 0,9 - სადაც გათვალისწინებულია შენობის კონსტრუქციული ელემენტების ფიზიკური ცვეთის სიდიდეები და მათი ხვედრითი მნიშვნელობები.

2.5. შენობების, რომელთა კონსტრუქციებში დაზიანებისა და დეფორმაციების გათვალისწინებით ცვეთის სიდიდე 0,6-ს აღემატება, აღდგენა-რეაბილიტაცია დაკავშირებული იქნება დიდ მატერიალურ დანახარჯებთან.

2.6. შემდგომში გათვალისწინებულია ამავე გაბარიტებით და მასალით ახალი შენობის აშენება.

სადემონტაჟო სამუშაოები უნდა წარიმართოს ზემოდან ქვევით. განვიხილავთ ძირითადი კონსტრუქციების დემონტაჟის წარმოების მეთოდებს:
დემონტაჟის პირველი ეტაპი გადახურვის ფილის დემონტაჟს, რომელიც უნდა განხორციელდეს შერჩევით, ხელითან მექანიზმების გამოყენებით ზემოდან ქვემოთ, შესაბამისი ნორმებისა და უსაფრთხოების წესების დაცვით.
პერიმეტრის კედლების დემონტაჟი—განხორციელდეს შერჩევით, მდებარეობის მიხედვით, ხელით ან მექანიზმების გამოყენებით. ნარჩენების გატანისას სანგრევი ჩაქუჩების მუშაობა უნდა შეჩერდეს. მათი მუშაობისას აღკვეთილი უნდა იქნეს შეღწევა სამუშაო ზონის ქვეშ, დემონტაჟი უნდა მოხდეს ავტო ამწის საშუალებით.
ლითონის კონსტრუქციების დემონტაჟი –ზევიდან ქვევით თანმიმდევრულად ჩაიხსნას კავშირები და შემდეგ მოხდეს შემადგენელი ნაწილების დემონტაჟი. დემონტაჟის სამუშაოების მიმდინარეობის დროს, დროებით შემოიზღუდოს

მსუბუქი ბარიერებით და გამაფრთხილებელი ლენტით არანაკლებ 5,0 მ-ის სიგანის უსაფრთხოების ზოლი. აღიკვეთოს შეღწევა აღნიშნულ უსაფრთხოების ზოლში სამუშაოების მიმდინარეობის დროს. ზოლში შესვლის აუცილებლობის შემთხვევაში, დროებით შეჩერდეს სამუშაოები. საჭიროების შემთხვევაში გამოიყოს გუშაგი.
კედლების დემონტაჟი შეიძლება განხორციელდეს ხელით, ხოლო დაშლილი კედლის მასალა შესაძლებელია მოგროვდეს როგორც შენობის შიგნით, ასევე მოხდეს მის გარეთ გადმოყრა.
სამშენებლო ნაგვის დატვირთვა—განხორციელდეს ხელით;
სამშენებლო ნაგვის გატანა—განხორციელდეს სატვირთო ავტოტრანსპორტის მეშვეობით. სამშენებლო ნაგავი გადაყრილ უნდა იქნეს სპეციალურად გამოყოფილ ნაგავსაყრელზე.
სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდება 1 ბრიგადის მიერ, 4 მუშის ოდენობით.

რეკონსტრუქცია დემონტაჟის განხორციელების პროცესი იყოფა რიგებად –

I რიგი – რეკონსტრუქცია დემონტაჟის განხორციელების მოსამზადებელი სამუშაოები;

II რიგი – რეკონსტრუქცია დემონტაჟის განხორციელების ძირითადი სამუშაოები;

მოსამზადებელ პერიოდს 15 დღე - განეკუთვნება შემდეგი სამუშაოები:

2. სამშენებლო ტერიტორიაზე დროებითი ღობის მოწყობა;
3. დროებითი წყლის და ელ.მომარაგების ხაზის შეყვანა.

II რიგი ძირითადი სამუშაოები – 2 თვე

1. დასანგრევი შენობის გასუფთავება სამშენებლო ნაგვისგან;
2. გადახურვის ფილის დემონტაჟი;
3. აგურის კედლების დემონტაჟი;
4. არსებული წყლის რეზერვუარის დაჭრა მცირე ნაწილებად და ტერიტორიიდან გატანა;
5. არსებული დაზიანებული და გამოქარული აგურის კედლის საპირე წყობის გადაწყობა და მისი ჩანაცვლება ანალოგიური მაღალი ხარისხის აგურით.
6. ტერიტორიის გასუფთავება;
7. ტერიტორიიდან სამშენებლო ნაგვის გატანა;

სადემონტაჟო შენობა შენობა ცალკე მდგომია.

(იხ. კონსტრუქციული დასკვნა). ნაშენია ნახევარი აგურით. შენობას არა აქვს სეისმური სარტყელი და არა აქვს საძირკველი. გადახურვის ფილა ეყრდნობა ორ 10სმ-იან (ჩამოდებულია შენობის გრძივ კედლებზე) ორტესებრსა და

არსებულ ნახევარაგურიან კედლებს. შენობა სიგრძეში 7.22მ-ია, სიგანეში 3.63მ და სიმაღლეში 3.8მ-ია. მას 26.2კვ.მ ფართობი უკავია. გულოს აბანოს ტერიტორიის საერთო ფართია 1264კვ.მ.

დემონტაჟი უნდა მოხდეს ზემოდან ქვემოთ მხოლოდ ხელის ინსტრუმენტებით. პირველ რიგში უნდა მოეწყოს ხარაჩო, როგორც გარეთ ასევე ინტერიერში. შემდეგ ჩაიჭრას გადახურვის ფილა ვიწრო კედლის პარალელური მიმართულებით და დაიშალოს აგურის კედლები ზემოდან ქვემოთ. ბოლოს დაიჭრას შენობაში არსებული წყლის რეზერვუარი მცირე ზომის ნაჭრებად და გატანილი იქნეს ტერიტორიიდან.

დემონტაჟის შემდეგ მის ადგილზე დაგეგმილია დამხმარე შენობის მშენებლობა იგივე გაბარიტული მონაცემებით.

3. ღონისძიებების ჩამონათვალი, რომელიც საჭიროა სარეკონსტრუქციო სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების საშიშ ზონებსა და შენობების შიგნით ადამიანებისა და ცხოველების მოხვედრისგან დასაცავად

5.1. შენობა-ნაგებობების სარეკონსტრუქციო-სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე, სამშენებლო მოედნის შემომსაზღვრელი ღობე უნდა შემოწმდეს, რომ არსად დარჩეს ღია ადგილი. ყველა ასეთი ადგილი არსებობის შემთხვევაში უნდა დაიხუროს. სახიფათო ზონების ზღუდე-გალავანი უნდა განთავსდეს სამშენებლო მექანიზმების საშიში ზონებისა და ჩამონგრევის ზონების გარეთ. СНиП 12-03-2001 შესაბამისად.

5.2. სამშენებლო მოედანზე ადამიანების მოხვედრა მკაცრად უნდა კონტროლირდებოდეს, დაწესდეს სამშენებლო მოედნის სადღეღამისო დაცვა.

5.3. ღობის გასწვრივ მოწყობილი უნდა იყო გამაფრთხილებელი ნიშნები და წარწერები. გრიშაშვილის ქუჩის მხრიდან ამასთან ერთად განთავსებული უნდა იყოს ღამის მანათობელი-მკრძალავი და გამაფრთხილებელი ნიშნები. შესასვლელთან განთავსდეს სამშენებლო ტერიტორიაზე ტრანსპორტის მოძრაობის სქემა.

4. ნანგრევებისა და საშიში ზონების ზომების გაანგარიშება და დასაბუთება, რომელიც დამოკიდებულია დემონტაჟის მეთოდზე

საშიში ზონები დადგენილია СНиП 12-03-2--1 (დამატება გ) თანახმად

ტვირთის (საგნის) სავარაუდო ჩამოვარდნის სიმაღლე მ	ჩამოვარდნილი საგნის მინიმალური გადავარდნის მანძილი მ	
	ამწით გადადგილებული ტვირთის გადავარდნის მანძილი მ	შენობიდან ჩამოვარდნილი საგნის გადავარდნის მანძილი მ
10-მდე	4	3,5
20-მდე	7	5
70-მდე	10	7
120-მდე	15	10
200-მდე	20	15

სახიფათო ზონების საზღვრებთან აუცილებლად უნდა მოეწყოს სასიგნალო ბარიერები. იხილეთ ნახაზი.

5. რეკონსტრუქცია დემონტაჟის სამუშაოების ხანგრძლივობის ანგარიში

პროექტით გათვალისწინებულია შენობის №1 სარეკონსტრუქციო სადემონტაჟო სამუშაოები. დემონტაჟის დაწყებამდე მოხდება არსებული საინჟინრო ქსელების ჩაჭრა.

I ეტაპზე მოხდება დასანგრევი შენობის გასუფთავება სამშენებლო ნაგვისგან;

II ეტაპზე გადახურვის ფილის დემონტაჟი;

აგურის კედლების დემონტაჟი;

არსებული წყლის რეზერვუარის დაჭრა მცირე ნაწილებად და ტერიტორიიდან გატანა;

III ეტაპზე არსებული დაზიანებული და გამოქარული აგურის კედლის საპირე წყობის გადაწყობა და მისი ჩანაცვლება ანალოგიური მაღალი ხარისხის აგურით.

IV ეტაპზე ტერიტორიის გასუფთავება;

ტერიტორიიდან სამშენებლო ნაგვის გატანა;

სამშენებლო ნაგავი გატანილი უნდა იქნას ეტაპობრივად მოედნიდან. ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ერთი შესასვლელი /იხ. გენგეგმა/. ტერიტოტიაზე მისვლა მოხდება გრიშაშვილის ქუჩის მხრიდან, ხოლო ნაგვის გატანა მოხდება ასევე გრიშაშვილის ქუჩის მხრიდან, ნაგავსაყრელის მიმართულებით.

8.2. ობიექტის რეკონსტრუქცია-დემონტაჟი განხორციელდება ეტაპობრივად 2 თვიანი პერიოდით, საიდანაც 15 დღე იქნება მოსამზადებელი პერიოდი. მისი დაცვა შესაძლებელია უწყვეტი ფინანსირების პირობებში, რასაც ხელი უნდა შეუწყოს კარგმა კლიმატურმა პირობებმა.

8.3. აღნიშნულის საფუძველზე შედგა დემონტაჟის განხორციელების კალენდარული გრაფიკი.

6. მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების ჩამონათვალი, მათ შორის მოსახლეობის დროული შეტყობინება და ევაკუაცია (საჭიროების შემთხვევაში)

სამუშაოები მიმდინარეობს გრიშაშვილის ქუჩის მხრიდან მოსახლეობისთვის ღობით შემოსაზღვრულ სამშენებლო ტერიტორიაზე, რომელიც აფერხებს მოსახლეობის ტერიტორიაზე შეღწევას.

7. ნაგვის გატანისა და უტილიზაციის გადაწყვეტის აღწერა

10.1. რეკონსტრუქცია დემონტაჟის შემდეგ სამშენებლო ნაგავი შესაბამისი სახით გადამუშავდება და უტილიზირდება. დატოვებული ნაგავი იწვევს სამშენებლო მოედნის, შემოსასვლელისა და გასასვლელის გადაჭედვას. რეკონსტრუქცის შედეგად მიღებული მასალები უნდა დაფასოვდეს სახეობების მიხედვით და დაეწყოს შესაბამის პაკეტებად მათი შემდგომი მეორადი გამოყენების მიზნით.

10.2. სამშენებლო ნაგავი დროულად უნდა იყოს გატანილი ნაგავსაყრელზე. ობიექტიდან ნაგავსაყრელამდე მანძილი 30-40კმ-ია.

10.3. ობიექტის რეკონსტრუქცია და დემონტაჟის დასრულების შემდეგ სამშენებლო ტერიტორიიდან მოშორებული უნდა იყოს დროებითი შენობები და ნაგებობები, დარჩენილი მასალები და კონსტრუქციები

8. რეკომენდებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები

11.1. რეკონსტრუქცია დემონტაჟის ნორმების უწყვეტი რიტმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი აღჭურვა

თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. მათი რეკომედირებული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში.

№	დასახელება	ერთ. განზომილება	რაოდენობა, ცალი
1	2	3	4
2	საკომპრესორო დანადგარი	ც	1
3	სანგრევი ჩაქუჩები	ც	2
4	ლითონის ელექტრომჭრელი	ც	2
6	ავტოთვითმცლელები	ც	2
7	ლითონის საჭრელი აპარატი	ც	1
8	ნაგავსატარი	კომპ.	1
9	მიმღები ნაგვის ბუნკერი	კომპ.	1
10	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა-ინსტრუმენტები: ნიჩბები, ბარები, ლომები, წერაქვები და სხვა	კომპ.	4

11.2. რეკომენდირებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობები შესაძლოა შეიცვალოს ანალოგიურით ან უფრო თანამედროვე დანადგარებითა და მოწყობილობებით.

9. რეკონსტრუქცია დემონტაჟის საინჟინრო მომზადება და მისი წარმართვის ცალკეული ეტაპები

12.1. წინამდებარე დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი (დოპ)-ი ითვალისწინებს СНиП 3.01-01-85 "სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია" მოთხოვნილებებს მშენებლობაზე ხანძარსაწინააღმდეგო და მშენებლობის უსაფრთხო წარმოების ღონისძიებათა დაცვით.

12.2. რეკონსტრუქცია დემონტაჟის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:

- დავალება რეკონსტრუქცია დემონტაჟზე;
- სიტუაციური გეგმა;
- საკადასტრო გეგმა, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ობიექტის ნატურაში დათვალიერება;

- ფოტომასალა;
- გრიშაშვილის ქუჩა №3-ში მდებარე შენობის ტექნიკური მდგომარეობის მოკლე აღწერა;
- სარეკონსტრუქციო სადემონტაჟო შენობის აზომვითი ნახაზები;

12.3. რეკონსტრუქცია დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისობით.

12.4. მიიღებს თუ არა დამკვეთისგან დამტკიცებულ საპროექტო დოკუმენტაციას, სამშენებლო ორგანიზაცია ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტს.

12.5. სამუშაოთა დაწყება შესაძლებელია საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე შესაბამისი სამსახურიდან (ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახური) სათანადო ნებართვის აღების შემდეგ.

12.6. შენობის სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს მიმდევრობითი მეთოდით ზემოდან ქვემოთ მარტო ხელით და სათანადო კომისიის დასწრებით. **აკრძალულია:** სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება ორი-სამი კონსტრუქციების ერთად. სამუშაოების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული: ყველა კონსტრუქციის დროებითი გამაგრება, მუშების სათანადო ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა სპეციალური ქამრებით და სათვალეებით, ნაგვის გატანა სპეციალური ბუნკერის საშუალებით. აქტის შედგენა ძირითადი პერიოდის სამუშაოების შესახებ. ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს **სამუშაოების შეჩერება** და ყველა სადემონტაჟო კონსტრუქციების გამაგრება. ყველა საშიში ადგილი უნდა იყოს შემოღობილი სათანადო განთებით ღამის საათებში.

რეკონსტრუქცია დემონტაჟის სამუშაოების წარმოების მოსამზადებლად აუცილებელია СНиП 3.01.01-85* მოთხოვნებით ხელმძღვანელობა „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“, СНиП 12-03-01 „შრომის უსაფრთხოება მშენებლობაში“ ნაწილი 1. ზოგადი მოთხოვნები“, СНиП 12-04-02 „შრომის უსაფრთხოება მშენებლობაში ნაწილი2, სამშენებლო წარმოება“, სახანძრო უსაფრთხოება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებში, სახანძრო უსაფრთხოების წესები (ППБ 1-03), ССБТ ГОСТ 12.3.003-84 „სამშენებლო მანქანები. უსაფრთხო ექსპლუატაციის ზოგადი მოთხოვნები, ССБТ ГОСТ 12.1.051-90. ელექტროუსაფრთოხება, საგზაო მოძრაობის წესები, ТОИ Р 66-01-95* ტიპიური მოთხოვნები შრომის დაცვაში სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას, ასევე ПБ 10-382-00 „ტვირთამწეების უსაფრთხო ექსპლუატაციის წესები“.

მუშაობის დაწყებამდე უნდა შესრულდეს შემდეგი ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური ღონისძიებები: ბრიგადის დაკომპლექტება, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მომზადება: დამცავი ნიღბები, სათვალეები,

კომბინიზონები, ხელთათმანები, დამცავი ქამრები, ფეხსაცმელი, ხანძრის ჩასაქრობი საშუალებები. სამუშაოზე დაიშვას 18 წელზე მეტი ასაკის პირები, რომელსაც აქვს სიმაღლეზე მუშაობის სამედიცინო ცნობა.

მოედანი, სადაც წარმოებს რეკონსტრუქცია სადემონტაჟო სამუშაოები, უნდა იყოს გათავისუფლებული ნაგვისაგან, დასხმული გრუნტით საპროექტო აღნიშვნამდე და დაგეგმილი.

სადემონტაჟო სამუშაოებისას სახიფათო ზონები შემოიღობოს და დაიდაგას გამაფრთხილებელი ნიშნები. ტრანსპორტის მოძრაობა და ასევე ადამიანების ყოფნა სახიფათო ზონებში დემონტაჟის დროს აკრძალულია. ღამით განათდეს სადემონტაჟო მოედანი. სამუშაოთა წარმოების ადგილი აღიჭურვოს ხანძარჩამქრობი საშუალებებით.

სადემონტაჟო სამუშაოები დაევალოს გამოცდილ ინჟინერ-ტექნიკოსს, რომელმაც იცის სამონტაჟო ნახაზების, სქემების კითხვა.

ყველ სამუშაო ჩატარდეს სამუშაოთა მწარმოებლის ხელმძღვანელობით. სიმაღლეზე სამუშაოები ჩატარდეს დამცავი ქამრებისა და ტროსების გამოყენებით.

სადემონტაჟო სამუშაოები 10მ/წმ ქარის სიჩქარის, ასევე წვიმის დროს დაუშვებელია.

საწარმოო სამუშაოების ტერიტორიები უნდა იყოს დაგეგმილი: გასავლელები, გადასატვირთ-დასატვირთი მოედნები უნდა იყოს თავისუფალი.

12.7. ნაგავი გატანილ იქნას მოედნიდან, ქალაქის შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული ნებართვით, შესაბამის ადგილზე. სამშენებლო ნაგვის და გრუნტის გატანა მოხდეს ავტოთვითმცლელებით.

12.8. დაშლა ხორციელდება საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ.

10. მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა

13.1. მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე უნდა იყოს დაცული თანახმად "СНиП 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში" და სხვა ნორმატიულ-საკანონმდებლო

დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:

1. სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე უნდა წარმოებდეს გვერდიდან ან უკანა მხრიდან;
2. ზოგიერთ სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს და თავსაბურავებს;
3. ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია საქ. სტანდარტში 12.1.013-88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.
4. სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში, მრიცხველის დაყენება საიდანაც ძალოვანი და გასანათებელი სადენები გაიმართება მომხმარებლისკენ.

11. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები

14.1. რეკონსტრუქცია დემონტაჟისას აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდინარე ტერიტორიის დამტვერიანებისგან თავის ასარიდებლად. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ნაგვის ჩაყრა უშუალოდ თვითმცლელი ავტომანქანების ძარებზე.

14.2. დაუშვებელია არსებულ საკანალიზაციო ჭებში მილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

14.3. ასევე არსებული საკანალიზაციო ქსელის პირობებში მიზან-შეწონილად ვერ ჩაითვლება დროებითი ტუალეტის მოწყობა ამოსახაპ ორმოზე. მათი დროებითი ჩართვაც სასურველია საკანალიზაციო კოლექტორში.

14.4. ზემოთ მითითებული დებულებიდან გამომდინარე შენობათა დემონტაჟი უნდა განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით მოქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისობით.

12. მოპ-ის შედგენისთვის ნორმატიული ბაზა

მშენებლობის ორგანიზაცია და სარეკონსტრუქციო სადემონტაჟო სამუშაოთა წარმართვა უნდა მოხდეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობით. 1987წ. მშენებლობის სამინისტრომ ქართულ ენაზე გამოსცა სამახსოვრო კრებული "სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები-ამონაკრები მოქმედი ნორმატიული დოკუმენტებიდან".

ქვემოთ ჩამოთვლილია მოქმედი ნორმები და წესები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს სამშენებლო ფირმამ სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს;

- СНиП 11-4-80 " უსაფრთხოების ტექნიკაში";
- სახანძრო უსაფრთხოების წესები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს;
- СНиП 1.06.05-85 "მშენებლობისსადმი საპროექტო ორგანიზაციების მიერ საავტორო ზედამხედველობა";

აგრეთვე საჭიროა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული შემდეგი კანონებით ხელმძღვანელობაც:

- გარემოს დაცვის თაობაზე; 1996 წელი;
- წყლის გამოყენების შესახებ, 1997 წელი;

გარემოს დაცვის შესახებ კანონი განსაზღვრავს ჰაერის და წყლის დაბინძურების, წყლის აღების და ჩაშვების, ხმაურისა და სხვათა შესახებ საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია სამშენებლო და სადემონტაჟო სამუშაოთა შესრულების პროცესში.

ასევე კანონით წყლის შესახებ განსაზღვრულია ზედაპირული, მიწისქვეშა და სანაპირო წყლების აღება და ჩაშვების ლიცენზიებთან დაკავშირებული საკითხები.


კანონი ატმოსფერული ჰაერის შესახებ ითვალისწინებს ჰაერის კონტროლსა და დაბინძურების შეზღუდვის მეთოდებს, ჰაერის ხარისხიანობის სტანდარტებს და განსაზღვრავს დასაშვებ ზღვრებს სამშენებლო საქმიანობის პირობებში.

მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ კანონი მოიცავს მავნე ნივთიერებათა კლასიფიკაციას და მათ უსაფრთხო მოხმარების საკითხებს. მაგალითად თუ სამშენებლო ნაგავი მტვერის გაბნევის საშიშროებას მოიცავს თვითმცლელ მანქანებზე დაყრის შემდეგ მას აუცილებელია გადაეფაროს სახურავი ბრეზენტისაგან ან მყარი მასალისაგან.

СНиП 3.0.1 0.1-85 "სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია"

СНиП 1.0.4 0.3-85 "მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე"

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შედგენის ეტალონი სამხრეთის მთიანი რაიონებისათვის;
კრებული-სამახსოვრო "სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები", "ამონაკრები მოქმედი სამშენებლო ნორმებიდან და წესებიდან", ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს გამოცემა, თბილისი, 1987 წელი; ქართულ ენაზე.
СНиП III-4-80 "უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე"
СНиП 12-03-2--1 (დამატება გ) საშიში ზონების დადგენა.


01.18.04.019.045
01.18.04.019.036
01.18.04.019.005
01.00.121
01.18.04.019.008
407.99
405.90
405.17
405.21
405.80
405.25
405.35
405.33
405.68
405.52
405.56
405.10
405.49
405.50
405.39
405.42
402.85
402.20
403.09
405.31
403.89
405.56
405.43
405.13
404.64
404.95
403.74
403.73
403.79
403.13
403.29
403.36
403.45
401.74
401.53
401.03
401.81
400.65
400.14
399.76
399.66
399.82
399.81
399.84
399.89
399.99
399.98
400.08
400.24
400.21
400.29
401.08
398.09
398.13
398.16
398.37
398.57
398.59
398.82
398.90
398.45
398.27
398.59
398.38
398.26
397.58
397.94
397.55
397.59
397.35
397.27
397.02
396.92
396.56
396.65
396.43
396.31
396.53
396.44
396.33
396.10
395.95
395.65
395.76
395.74
395.71
395.70
395.71
395.78
395.63
395.60
395.63
393.68
393.40
396.16
396.15
396.78
400.37
400.39
399.49
402.31
399.47
399.78
400.62
400.48
399.52
397.18
397.03
399.56
399.61
399.68
01.18.04.019.030
1264 კვ.მ.
01.18.04.019.013
395 კვ.მ.
01.18.04.019.014
673 კვ.მ.
01.18.04.019.024
01.18.04.019.010
01.18.04.019.011
01.18.04.017.029
01.18.04.017.014
01.18.04.017.001
01.18.04.017.016
01.18.04.017.005
01.18.04.001.005
01.03.861
01.02.861
01.01.834
01.00.387
01.00.121
01.00.287
01.07.401
01.00.386
484250
4615200
ბაგრატიონის ქ.
ბაგრატიონის ქ.
ბაგრატიონის ქ.

მშენებლობის კალენდარული გრაფიკი

№	სამუშაოთა ჩამონათვალი	თვე	1 თვე																												2 თვე																												
		დღე	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30
I	მშენებლობის პირველი რიგი																																																											
	მოსამზადებელი სამუშაოების პერიოდი																																																										
1 ეტ.	სამშენებლო ტერიტორიაზე დროებითი ღობის მოწყობა	10																																																										
2 ეტ.	დროებითი წყლის და ელ.მომარაგების ხაზის შეყვანა	5																																																										
II	მშენებლობის მეორე რიგი																																																										
	ძირითადი სამუშაოების პერიოდი																																																										
1 ეტ.	დასანგრევი შენობის გასუფთავება არსებული სამშენებლო ნაგვისგან	3																																																									
2 ეტ.	გადახურვის ფილის დემონტაჟი	5																																																									
3 ეტ.	აგურის კედლების დემონტაჟი	5																																																									
4 ეტ.	არსებული წყლის რეზერვუარის დაჭრა მცირე ნაწილებად და ტერიტორიიდან გატანა	10																																																									
5 ეტ.	არსებული დაზიანებული და გამოქარული აგურის კედლის საჭირე ნყობის გადაწყობა და მისი ჩანაცვლება ანალოგიური მაღალი ხარისხის აგურით	15																																																									
6 ეტ.	სამშენებლო ტერიტორიის დასუფთავება	4																																																									
7 ეტ.	სამშენებლო ტერიტორიდან ნაგვის გატანა	3																																																									
	გაუთვალისწინებელი სამუშაოები																																																									

ქ.თბილისი, აბანოთუბანი, გრიბოედოვის ქ №3-ში, აბანოს რეკონსტრუქცია და ცალკე მდგომი შენობის დემონტაჟის პროექტი

ნაკ3.№ 01.20.01.012.002

მშენებლობის კალენდარული გრაფიკი

ნ ა წ ი ლ ი :

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

სტადია	ფურცელი	ფურცლები
მპ		

დირექტორი	ი.გამყრელიძე	
მთ.არქიტექტ	გ.სუმბაძე	
არქიტექტორ-რესტავრატორი	ი.გამყრელიძე	

CAD style construction architecture design

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.18.04.019.030**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882021307346 - 20/04/2021 10:12:55

მომზადების თარიღი
20/05/2021 02:04:31

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	კრწანისი		
01	**18**	**04**	**019/030**

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა გრიშაშვილი , N3

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 1264.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**01.18.04.019.021;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N01, N02, N03, N04, N05, N06

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882020689544 , თარიღი 23/09/2020 17:56:32
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 10/12/2020

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- არქიტექტურისა და ქალაქის პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის მიერ 1997 წლის 29 ოქტომბერს გაცემული მიწის ნაკვეთის გეგმა.
- საქართველოს კანონი ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ.
- წერილი N7/66024 , დამოწმების თარიღი:04/12/2020 , სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
- ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზების დეპარტამენტის მიერ 1996 წლის 4 ივნისს გაცემული N23/48-ი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 23 მაისის N10.65.641 დადგენილება.

მესაკუთრეები:
შ.პ.ს. "ბახმარო" , ID ნომერი:204383201

მესაკუთრე:
შ.პ.ს. "ბახმარო"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო


საკადასტრო კოდი: 01.18.04.019.030

განცხადების ნომერი: 882021307346

მომზადების თარიღი: 20/05/2021

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო

ფართობი: 1264 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)



კოორდინატთა სისტემა: WGS 84 / UTM zone 38N

მასშტაბი 1:400

მშენებარე ნაგებობა

ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

შენობა/ნაგებობა

ხაზობრივი ნაგებობა

ტყის ფონდი

ვალდებულება

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 3 20 0000671877

07/08/2020

მოქალაქე ილია ხავთასს
(მისამართი: ქ. თბილისი მ. მესხის ქ. N26ა)

ბატონო ილია,

თქვენი განცხადების (N670029, 6.08.2020) პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ი. გრიშაშვილის ქ. N3-ში (ს.კ. 01.18.04.019.030) არსებულ ნაგებობას არ აქვს მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

პატივისცემით,

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტრო
კულტურის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
დოლიძე ნანა

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52
52 Dimitry Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia
ტელ/Tel.: (+995 32)2 200 220


05 10 2021


გულის აბანო
Gulo's Thermal Spa
05 10 2021


05 10 2021


გულოს აბანო
Gulo's Thermal Spa
05 10 2021


05 10 2021


გულის აბანო
Gulo's Thermal Spa